სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება № 482

(ოქმი № 427)

თბილისი 2020 წლის 18 აგვისტო

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს ღია კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.

2. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე.

დანართი: განცხადება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

მიხეილ ჩიკვილაძე

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია

ბონდო მძინარაშვილი

განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის
ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. გენერალური დირექტორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი.

3. გენერალური დირექტორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლისა და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლისა.

4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

5. პირველი ტურისთვის ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განცხადება (საკონტაქტო მონაცემების მითითებით) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სახელზე და შემდეგი დოკუმენტები (როგორც ქაღალდის ვერსია, ასევე, ელექტრონული ფორმატი):

5.1 წინამდებარე განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები;

5.2 CV;

5.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.4 სამოტივაციო წერილი;

5.5 ცნობა იმის შესახებ, რომ არ იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

5.6 ხელწერილი, რომ კანდიდატი გაეცნო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონს, კერძოდ, აღნიშნული კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე.

6. გენერალური დირექტორობის კანდიდატებმა წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" კანცელარიაში შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68, 2020 წლის 19 აგვისტოდან 2020 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით. განცხადებები მიიღება ყოველ დღე, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 19:00 საათამდე, ხოლო, უქმე და დასვენების დღეებში - 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.

7. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური დირექტორობის კანდიდატი არ წარმოადგენს ან/და არასრულყოფილად წარმოადგენს წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს აპარატი მას დაუდგენს ხარვეზს, რომელიც გამოსწორებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 კალენდარული დღისა.

8. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შერჩევის საფუძველზე, გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები.

9. მე-2 ტურში გასულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მართვის ხედვა (არაუმეტეს A4 ფორმატის 2 ფურცლისა).

10. მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება.
11. მე-2 ტურის დანიშვნის ვადა, ასევე, 1-ლი და მე-2 ტურის შედეგები სამეურვეო საბჭოს მიერ გამოცხადდება დამატებით.

12. წინამდებარე განცხადება და ინსტრუქცია კონკურსის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე: www.1tv.ge.

ირინა ფუტკარაძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის"
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე